საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“

MINISTRY
OF EDUCATION AND SCIENCE
OF GEORGIA
LEPL COLLEGE „AKHALI TALGA“

MES 8 22 0000016705

13/01/2022

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს
ბატონ მიხეილ ჩხენკელს

ბატონო მიხეილ,

პროფესიული განათლების შესახებ კანონის შესაბამისად გიგზავნით სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ 2021 წლის საქმიანობის ანგარიშს.

ავტორიზაციის პროცედურების შესახებ

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2022 წლის სექტემბერში სსიპ კოლეჯს „ახალი ტალღა“ ეწურება ავტორიზაციის ვადა. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით, კოლეჯს საავტორიზაციო განაცხადი შეაქვს 2022 წლის თებერვალში 33 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

ავტორიზაციისთვის მზადების პროცესის უფრო ეფექტიანად წარმმართვის მიზნით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შემოთავაზების საფუძველზე, კოლეჯი ჩაერთო გაეროს პროექტში, რომლის ფარგლებში განხორციელდა სიმულაციური ავტორიზაციის პროცესი და ამ მიზნით მომზადდა განაცხადი ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის შესაბამისად. ექსპერტებმა წარმოადგინეს დასკვნა, პროექტის ფარგლებში ჩატარდა სიმულაციური ავტორიზაციის საბჭოს სხდომა. კოლეჯი ითვალისწინებს ექსპერტთა რეკომენდაციებს და ახორციელებს შესაბამის აქტივობებს.

იქედან გამომდინარე, რომ კოლეჯი 2022 წლის თებერვალში აპირებდა საავტორიზაციო განავხადის შეტანას, 2021 წელს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება არ განხორციელებულა, თუმცა კოლეჯმა დაიმატა პროფესიული მომზადება/ პროფესიული გადამზადების შემდეგი პროგრამები:

- სასტუმროს საოპერაციო დეპარტამენტის (მიღება-განთავსება, დასუფთავება, კვება და სასმელები) პროცედურები;
- თმის შეჭრა და ვარცხნილობის მოდელირება;
- კერძების მომზადების ტექნოლოგია;

ქ.ქობულეთი შ. რუსთაველის ქუჩა N 154
ტელ: +995 (426) 26-68-51
www.kpc.ge
ccnewwave@gmail.com

154, Rustaveli Street, Kobuleti
+995 (426) 26-68-51
www.kpc.ge
ccnewwave@gmail.com

- ელექტროსამონტაჟო სამუშაოების წარმოება;
- სარესტონო სერვისი და სერვირება;
- კომპიუტერული გრაფიკული პროგრამები ხის მხატვრული დამუშავებისა და ავეჯის კონსტრუირებისათვის;
- კერძების მომზადების ტექნოლოგია;
- სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლთა მომსახურება

სასწავლო პროცესის შესახებ

მსოფლიოში და ქვეყანაში ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე 2021 წელს სსიპ კოლეჯში „ახალი ტალღა“ სასწვლო პროცესი ხორციელდებოდა შერეულ (ჰიბრიდულ) რეჟიმში, კერძოდ:

- სსიპ კოლეჯში ,,ახალი ტალღა'' ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულების მიზნით კოლეჯის მონაცემებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შედგა გეგმა/ცხრილი (ფართი, განლაგება, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა რაოდენობა, კონკრეტულ სასწავლო სექტორის სპეციფიკა, პრაქტიკა/თეორია, სველი წერტილების რაოდენობა, შესასვლელი/გასასვლელები გათვალისწინებით);
- 2021 წლის 1 თებერვლიდან ეტაპობრივად ხდებოდა პრაქტიკული კომპონენტების შემოყვანა კოლეჯის ბაზაზე შესაბამისი სასწავლო გეგმებით. განხორციელდა პროცესის განახლებისათვის საჭირო ღონისძიებები. მოხდა აუდიტორიების გადაწყობა და ყველა რეგულაციის გათვალისწინება, რათა სასწავლო პროცესი წარმართულიყო უსაფრთხო გარემოში.
- 2021 წლის 24 ივნისს კოლეჯის რამოდენიმე თანამშრომელს დაუფიქსირდა კორონავირუსი, 12 დღით სასწავლო პროცესი გადავიდა მხოლოდ დისტანციურ რეჟიმზე. აღნიშულ პერიოდში ჯანდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელდა თანამშრომლემლების მასობრივი ტესტირება და დამატებითი ინფიცირების შემთხვევები არ გამოვლენილა.
- 2021 წლის 2 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე ეპიდვითარებიდან გამომდინარე კოლეჯში „ახალი ტალღა„ ყველა ჯგუფის თეორიული სწავლება გადავიდა დისტანციურ რეჟიმზე, ხოლო სწავლების პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდებოდა ისეთ პარტნიორ ორგანიზაციების ბაზაზე, რომლებმაც ეპიდემიიდან გამომდინარე არ შეწყვიტეს საქმიანობა.
- ამ ეტაპისთვის ყველა ჯგუფში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შერეულ (ჰიბრიდულ) რეჟიმში: თეორია - დისტანციურად, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი - კოლეჯში.

2021 წლის მიღებისას კოლეჯში მოდულური, დუალური და ინტეგრირებული განხორციელების მიდგომის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა 621 პროფესიული სტუდენტი და მიმდინარე პროფესიული სტუდენტებთან ერთად ქობულეთში და ხულოში ირიცხება სულ 1052 პროფესიული სტუდენტი.

აღნიშნული მიღება საინტერესო იყო იმ კუთხით, რომ კოლეჯმა პროფესიული სტუდენტების შერჩევა, განახორციელა საკუთარი ძალებით, 60 პარტნიორი ორგანიზაციის ჩართულობით.

2021 წელს კვალიფიკაცია მიენიჭა 693 კურდამთავრებულს.

2021 წელს კოლეჯში არსებული პროფესიულ მომზადებისა და პროფესიულ გადამზადების პროგრამებიდან სწავლება განხორციელდა 26 ჯგუფში (აქედან 7 ჯგუფში სწავლება დაიწყო 2021 წლის დეკემბერში), რომელიც წარმატებით დაასრულა 175 მსმენელმა.

ხარისხის განვითარების შესახებ

იმისათვის, რომ კოლეჯი სრულყოფილად ახორციელებდეს პროფესიულ საგანმანათლებლო და პროფესიულ მომზადების/პროფესიულ გადამზადების პროგრამებს აუცილებელია აკმაყოფილებდეს ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტს. ამ მიზნით კოლეჯმა ჩაატარა რიგი სამუშაოები, კერძოდ:

განხორციელდა მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა/გაუმჯობესება:

1. ცვლილებები განვახორციელეთ ჩვენი დაწესებულების "სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში", ჯერ შევიტანეთ „ფორმალური განათლების აღიარების წესი“ (დამტკიცდა შიდა 11/03/2021 წლის N01-04/29 ბრძანებით), შემდგომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემაში დავამატეთ ინფორმირების წესი (25/03/2021 წლის N01-04/43 ბრძანება) და ბოლოს დავამატეთ "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი" (27/07/2021წლის N01-04/110 ბრძანება);
2. შევიმუშავეთ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების კომისიის შექმნისა და მისი საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ (დამტკიცდა 29/07/2021წლის N01-04/114 ბრძანებით)
3. „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების საფუძველზე, შევიმუშავეთ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესის და პირობების შესახებ“ (დამტკიცდა 23/08/2021 წლის N01-04/128 ბრძანებით);
4. განვახორციელეთ ცვლილებები 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222 ბრძანებით დამტკიცებულ "ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში“ (დამტკიცდა 29/11/2021 წლის N01-04/212 ბრძანებით)
5. განხორციელდა ცვლილებები "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში" (20/05/2021 წლის N01-04/66 ბრძანება;

6. შევიმუშავეთ დისტანციური (ელექტრონული) სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით „დისტანციური (ელექტრონული) სწავლების მიზნით, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების კითხვარი“ (03/02/2021 წლის N01-04/12 ბრძანება), რის საფუძველზეც განხორციელდა კვლევები;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით 2021 წელს ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:

1. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 3 თებერვლის N55016 ბრძანებით ცვლილება შევიდა „ქართული ენის მოდულების დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის 02 ნოემბრის №695 ბრძანებაში. ცვლილებები შეეხო მოდულების დისტანციურად განხორციელებისა და შეფასების შესაძლებლობების განსაზღვრას დისტანციურ რეჟიმში. შესაბამისობაში მოვიყვანეთ ჩვენს საგანმანათლებლო პროგრამებში არსებული "ქართული ენა A2" და "ქართული ენა B1" მოდულები (16.02/2021 წლის N01-04/19 ბრძანება)
2. პანდემიიდან გამომდინარე, 2020 წლის მიღების ჯგუფებისათვის, განხორციელდა სასწავლო გეგმების მოდიფიცირება, პროგრამები შეძლებისდაგვარად მოვარგეთ დისტანციურ სწავლებას.
3. ხარისხის სამსახური ახორციელებს პროგრამების შეფასებას "ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ მიხედვით. შესაბამისად ხორციელდება პროფესიული საგნამანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება. 2021 წელს პროგრამების შეფასების შედეგად განხორციელდა ცვლილებები იმ პროგრამებში, რომელთა ავტორიზაციის პროცესით დამატებას გეგმავს კოლეჯი. (ჯამში 32 პროგრამა);
4. პროგრამის ხელმძღვანელთა გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით ხარისხის სამსაური ატარებს სამუშაო შეხვედრებს კოლეჯში მოქმედ ყველა პროგრამის ხელმძღვანელისათვის.
5. პროგრამების შეფასების შედეგად გამოიკვეთა საჭიროება, შემუშავდა და 08/07/2021წლის N01-04/98 ბრძანებით დამტკიცდა „სტუდენტთა ჩანაწერების ჟურნალი“ შემდეგი პროგრამებისათვის: კულინარიის ხელოვნება; სასტუმრო მომსახურება; სარესტორნო მომსახურება; საექთნო განათლება; ვეტერინარია.
6. ხარისხის სამსახურმა განახორციელა პროგრამების ვერიფიკაცია 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რის საფუძველზეც მომზადდა ანგარიშები და იგეგმება გამოვლენილი ხარვეზების შესაბამისი ტრენინგების ჩატარება.
7. განხორციელდა პროგრამების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შედარება შესაბამის საგანმანათლებლო სტანდარტებთან, კვლევის შედეგად იგეგმება ზოგიერთი პროგრამის შესაბამისი ბაზის განახლება.

ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ

სსიპ საგანამანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაფინანსების ფარგლებში სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ ტერიტორიაზე აიგო ცალკე მდგარი სახელოსნოები, შემდეგი სპეციალობებისათვის:

- მსუბუქი ავტომობილის შეკეთება;
- ხის მხატრული დამუშავება;
- შედუღება;

2021 წელს დასრულდა კულინარიის ხელოვნების და კონდიტერიის სახელოსნოების საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, რაზედაც 2022 წელს იგეგმება ტენდერის გამოცხადება 1 436 457 ლარზე.

საერთაშორისო პროექტების შესახებ

სსიპ კოლეჯმა „ახალი ტალღა“ 2021 წელს მიიღო მონაწილეობა შემდეგ საერთაშორისო პროექტებში:

- Erasmus + პროექტის ფარგლებში პოლონეთის რესპუბლიკის ქ.ობორნიკის ადამ მიცკევიჩის სახელობის სკოლასთან ერთად დაიგეგმა ორმხვრივი სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები
- 2020 წლის 2 ივნისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციის საფუძვლეზე, სსიპ კოლეჯი ,,ახალი ტალღა“ გახდა ,,ქსელი სრულყოფილებისთვის“ წევრი. 2021 წლის განმავლობაში კოლეჯი იყო ჩართული ქსელის ყველა აქტივობაში.
- 2020 წელს კოლეჯში განხორციელდა გაეროს განვითარების პროექტის საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული პროექტი, კერძოდ დაფინანსდა პროფესიული მომზადება-გადამზადების 3 ჯგუფი, სულ 36 კურსდამთავრებული.

საქმისწარმოების შესახებ

მიუხედავად ეპიდემიისა 2021 წელი საკმაოდ დატვირთული იყო, როგორც საბიუჯეტო ჯგუფის ასევე არასაბიუჯეტო ჯგუფის, მათ შორის პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამაზდების პროფესიული მსმენელების მოძრაობით.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები იქნა გატარებული სამართალშემოქმედებითი იდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების კუთხით, ფინანსურ და შესყიდვების სამსახურთან ერთად, სახელმწიფო შესყიდვების კუთხით.

საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ჯგუფების სასწავლო პროცესის კუთხით კოლეჯში გაფორმებულია იქნა 191 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, არასაბიუჯეტო ჯგუფებში ტრენინგ-კურსზე 2021 წლის იანვრიდან დღეის მდგომარეობით კოლეჯში ჩარიცხული იქნა 220 მსმენელი, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების 203 მსმენელი, ხოლო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჯგუფებში 621 პროფესიული სტუდენტი.

პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მოძრაობასთან დაკავშირებით მომზადებული იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჯგუფებში 73, არასაბიუჯეტო ჯგუფებში ტრენინგ-კურსზე 154 და პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების 22 სამართლებრივი აქტი - ბრძანება. ჯამში სხვადასხვა კუთხით კოლეჯში მომზადებული იქნა 673 (ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი - ბრძანება):

- პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვის მიზნით, კოლეჯში (ხელახლა) აყვანილი იქნა 183 პროფესიული მასწავლებლები და მათთან შესაბამის მიღებაზე მომზადებული იქნა შესაბამისი დანიშნვნის ბრძანებები და შრომითი ხელშეკრულებები;
- საშტატო განრიგით და შტატგარეშე თანამშრომლებთან დანიშნვნა/გადანიშნვნასთან დაკავშირებით გაფორმებული იქნა 44 შრომითი ხელშეკრულება (მათ შორის წინარე შრომითი ხელშეკრულებები);
- კოლეჯში დაგეგმილი მიზნების განსახორციელებლად გამოცემული იქნა თანამშრომლების (დირექციის, ადმინისტრაციის და დამახმარე პერსონალების) დანიშნვნის შესახებ შესაბამისი ბრძანებები და მათთან გაფორმებული იქნა შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები;
- კოლეჯის მიერ მიმდინარე წელს სასწავლო/საწარმო პრაქტიკის განხორციელების კუთხით მომზადებული იქნა 65 ხელშეკრულება/მემორანდუმი, ასევე სხვა სახის დაახლოებით 8 მემორანდუმი;

ფანანსური ანგარიშის შესახებ

მოგახსენებთ, რომ 2021 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში განსაზღვრული იყო სავარაუდო შემოსავლები როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროგრამული დაფინანსების ფარგლებში, ასევე ვაუჩერული და საკუთარი სახსრების დაფინანსების ფარგლებში.

2021 წლის დასაწყისში დამტკიცდა 2021 წლის ბიუჯეტი, რომელიც დაგეგმილი იყო რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე, როგორც შემოსავლით, ისე ხარჯვით ნაწილში. კოლეჯს 2021 წლის 01 იანვრიდან 01 დეკემბრის ჩათვლით მიღებულმა შემოსავალმა პროგრამული დაფინანსების ფარგლებში სახაზინო კოდი (32030103) შეადგინა 1 078 612,00 ლარი. კოლეჯში რიცხულ პროფესიულ სტუდენტზე მიღებულია ვაუჩერული დაფინანსება 2 935 734,00 (ორი მილიონცხრაასოცდათხუთმეტი ათას შვიდასოცდათოთხმეტი) ლარი.

კოლეჯის არასაბიუჯეტო შემოსავლებმა შეადგინა 280 187,00 ლარი, კერძოდ შენობის ფართის იჯარით გადაცემიდან მიღებულია 42 598,0 ლარი, პროფესიული სტუდენტების მიერ ფასიანი სწავლებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 146289,00 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების წარმომადგენლობის (შემდგომში წოდებული UNDP) მიერ ჩამორიცხული იქნა 13 100,00 ლარი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გრანტის სახით მიღებულია 74 114,0,00 ლარი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების დასაფინანსებლად, კოლეჯის ბაზაზე არსებული სტუდენტური კაფიდან და სხვა კოლეჯის მიერ გაწეული მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა - 2 647,0 ლარი, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები(ხელშეკრულების დარღვევიდან დაკისრებული პირგასამტეხლო) – 1 439,00 ლარი.

2021 წლის კოლეჯის ბიუჯეტის შემოსავლები და გადარიცხვითი ოპერაციები განხორციელებულია კანონმდებლობის შესაბამისად. კოლეჯის დირექტორი თანხებს განკარგავს 2021 წლის ბიუჯეტის ცალკეული მუხლების შესაბამისად. 2021 წლის 01 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენს 2 620 590,00 ლარს.

სანგარიშგებო პერიოდში გახარჯული იქნა ჩვენს მიერ სახაზინო კოდზე 32030103 სუბსიდიებში, სხვა ხარჯებში და არაფინანსური აქტივში - 1 078 612,00 ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურების სახით გაცემული იქნა 845 995,00 ლარი, პრემია 41 265,00 ლარი პროგრამული დაფინანსების ფარგლებში 2021 წელს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურებაზე, კერძოდ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტზე და ზრდასრულთა განათლების კოორდინატორზე გაიცა - 24 000,0 ლარი; მივლინება -3 315,0 ლარი, სამედიცინო ხარჯები -848,00 ლარი, სხვა საოფისე ხარჯი - 103 327,0 ლარი, ტრანსპორტის საწვავი და შეკეთება - 4 0819,0 ლარი, დამქირავებლის მიერ გაცემულ სოციალური დახმარების ხარჯებში 11 753,0 ლარი, არაფინანსურ აქტივებში: შენობა ნაგებობების 3 071,00 ლარი, მანქანა დანადგარების შეძენის ხარჯი 2 149,00 ლარი, სხვა ხარჯი: მოსაკრებელი - 2 070,00 ლარი.

ვაუჩერული დაფინანსებიდან გაიხარჯა 1 908 860,00 (ერთიმილიონ ცხრაასრვაათას რვაასსამოცდაერთი) ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურება - 1 477 193,0 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 381 822,0 ლარი, მათ შორის- ოფისის ხარჯი - 17 519,00 ლარი,რბილი ინვენტარი და უნიფორმა - 46 444,00 ლარი, სამედიცინო ხარჯი - 256,00 ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპულატაციისა და და მოვლა-შენახვის ხარჯებში - 8 398,00 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯებში - 30 9205,0 ლარი, არაფინანსური აქტივის გაზრდა, სხვა მანქანა დანადგარები - 35 644,00 ლარი, შენობა-ნაგებობების რემონტი - 6 451,00 ლარი, სხვა ძირითადი აქტივები - 7 750,00 ლარი.

საკუთრი სახსრებიდან გაიხარჯა სულ 175 232,00 ლარი; - შრომის ანაზღურება - 113 894,00 ლარი, ოფისის ხარჯი 16 671,00 ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპულატაციისა და და მოვლა-შენახვის ხარჯებში 6 149,00 ლარი, კვების ხარჯები - 135,00 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯებში - 20 089,00, სხვა ხარჯებში 15 849,00 ლარი მანქანა დანადგარების და ინვენტარის შეძენის მუხლი - 1 045,00 ლარი, ავტორიზაცია- 1 400,00 ლარი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების წარმომადგენლობის (შემდგომში წოდებული UNDP) მიერ პროექტის „საქართველოში პროფესიული მომზადება/გადამზადების სისტემის მოდერნიზება სოფლის მეურნეობის სფეროში“ ფარგლებში ჩამორიცხული 13 100,00 ლარიდან გაიხარჯა 13 100,00 ლარი; აქედან პედაგოგებს ჩაერიცხათ შრომის ანაზღაურების სახით - 8 700,00 ლარი, პროექტში ჩართულ ადმინისტრაციის წევრებს შრომის ანაზღურება - 1 145,00 ლარი, პროფესიული სტუდენტების ტრანსპორტირებისათვის 2 800,00 ლარი, ოფისის ხარჯებისათვის 455,00 ლარი.

აქვე მოგახსენებთ, რომ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოდან ჩამორიცხული თანხიდან შეძენილი იქნა მაკრატელა ამწე 23 771,00 ლარის ღირებულების, მცირეფასიანი ინვენტარი 7 750,00 ლარის და მანქანა დანადგარები 37 900,0 ლარი, სულ ათვისებული იქნა 69 421,00 ლარი.

2021 წელს განხორციელდა მიმდინარე პროგრამების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება სამშენებლო მიმართულების ჯგუფებში - 17 366,00 ლარი, ამასთან მოხდა დაბა ხულოს ფილიალში მოდული: ბარის ორგანიზების გახორციელებისათვის სასწავლო გარემოს მოწყობა და შესაბამისი აღჭურვილობის შესყიდვა 22 973,00 ლარი.

საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის პრევენციისა და რეაგირების სამართველოს ინსპექტირება განხორციელდა კოლეჯში „ახალი ტალღა“ როგორც ქობულეთში, ასევე ხულოს ფილიალში გამოვლენილი ხარვეზის (წერილი N2138803, 13.08.2021 წ) აღმოფხრის მიზნით განხორციელდა შესაბამისი აღჭურვილობის და მომსახურების შესყიდვა, როგორც ქობულეთში, ასევე ხულოს ფილიალში - 12 584,00 ლარის ფარგლებში.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, დასრულდა და სსიპ საგანამანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სსიპ კოლეჯს „ახალი ტალღა“ გადმოეცა მიღება-ჩაბარების აქტით კოლეჯის ტერიტორიაზე ცალკე მდგარი სახელოსნოები შემდეგი სპეციალობებისათვის:

- მსუბუქიავტომობილისშეკეთება;
- ხისმხატრულიდამუშავება;
- შედუღება;

ღირებულებით 730 228,30 (შვიდასოცდარვაათასორასოცდარვა ლარი და 30 თეთრი) ლარი:

- გეოლოგიური კვლევა 13 761,00 ლარი
- სსიპ საგანამანათლებლო და სამეცნიეროინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს და ამხანაგობა „მოდერნ ბილდინგ გრუპ“ N320702/03/117; 20,08,2020 NAT200008861 ხელშეკრულების ფარგლებში 716 467,34 ლარის ღირებულების სამუშაოები (სახელოსნოების მშენებლობა)

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო ნაშთი გვერიცხება ვაუჩერული დაფინანსების წყაროდან - 3 504 166,44 ლარი, საკუთრი სახსრების დაფინანსების წყაროდან - 33 849,68 ლარი, ინფრასტრუქტურის დაფინანსების წყაროდან - 50 866,42 ლარი, პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების დასაფინანსების წყაროდან (გრანტი) – 42 835,20 ლარი, სულ - 3 631 717,74 ლარი.

ბატონო მიხეილ, ზემოთ მითითებული ღონისძიების განხორციელება, ფაქტიურად შეუძლებელი იქნებოდა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების და პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერის გარეშე,

პატივისცემით,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო/
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები/
სსიპ კოლეჯი "ახალი ტალღა"/ დირექტორის
მოადგილე /დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
ბოლქვაძე კახა